განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2020

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 201951637 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0204 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებულია საგანმანათლებლო აკრედიტაციის საბჭოს მიერ 2018 წლის 25 ივლისის N86 გადაწყვეტილებით |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ვასილ კიკუტაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | რუსუდან სეთურიძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 25 ივლისის N86 გადაწყვეტილების საფუძველზე, მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით. საბჭომ გადაწყვეტილების მომენტში მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, განხორციელებულიყო პროგრამაზე მონიტორინგი და შეფასებულიყო აკრედიტაციის საბჭოს/ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების პირობები. პროგრამის შემოწმება ექსპერტების მიერ განხორციელდა ვიზიტის გარეშე. მონიტორინგის შემოწმების საფუძველია, აკრედიტაციის საბჭოს შუამდგომლობა პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელების თაობაზე. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 25 ივლისის სხდომის N29 ოქმის მიხედვით განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. დაწესებულებამ პროგრამის შემუშავებამდე ჩაატაროს შრომის ბაზრის სრულფასოვანი კვლევა;
2. დაწესებულებამ გადახედოს პრაქტიკული კომპონენტის სწავლების მოცულობას. ამასთან, ვინაიდან საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობა დაკავშირებულია მნიშვნელოვან ძალისხმევასთან, უმჯობესია პრაქტიკა ასეთი მოცულობით და საბაკალავრო ნაშრომი არ იქნას ერთდროულად ერთსა და იმავე სემესტრში შეთავაზებული ან დარეგულირდეს კომპონენტების სწავლების მოცულობა;
3. სასწავლო გეგმაში გაითვალისწინებულ იქნას ალბათობის თეორიის და მათემატიკური სტატისტიკის სასწავლო კურსის სწავლება;
4. დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს კრედიტების განაწილების სისტემა, თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკის, შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით; (საგანმანათლებლო პროგრამით კრედიტების განაწილება სასწავლო კურსების მიხედვით განსხვავებულია, მაგრამ კრედიტების განაწილების ლოგიკა არ არის ნათელი და დასაბუთებული. მაგ., სასწავლო კურსები კალკულუსი 1 და 2 შეთავაზებულია 4 კრედიტის მოცულობით თითოეული, მაშინ როცა „ევროკავშირის საგადასახადო სამართალი“, „საჯარო ფინანსები“ 6 კრედიტის მოცულობით. როგორც წესი რაოდენობრივი საგნების შესწავლას სტუდენტები მეტ დროს ანდომებენ, შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, კრედიტის მოცულობაც მეტი უნდა იყოს);
5. პირველ სემესტრში მიკროეკონომიკის ნაცვლად შეთავაზებულ იქნას სასწავლო კურსი მიკროეკონომიკის პრინციპები, ხოლო მეორე სემესტრში მაკროეკონომიკის ნაცვლად კი მაკროეკონომიკის პრინციპები;

6. სასწავლო კურსის „ფინანსების თეორია“ სწავლის შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში სასწავლო კურსის შინაარსთან;
7. სასწავლო კურსი „სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის“ სილაბუსის თემატიკამ მოიცვას დისპერსიული ანალიზი, რეგრესია და რეგრესიული ანალიზი, დროითი მწკრივების ანალიზი და პროგნოზირება;
8. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში გაიზარდოს ინგლისური ენის სავალდებულო კომპონენტის სწავლება;
9. პროგრამაზე მიღების წინაპირობებში პრიორიტეტი მიენიჭოს მათემატიკას, ხოლო არსებული სტუდენტებისათვის კი შემოღებულ იქნეს მათემატიკური უნარების განმავითარებელი შესავალი კურსები (მაგ. პრეკალკულუსი).
10. დაწესებულებამ თითოეულ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა უნდა შეიმუშაოს ამ სასწავლო კურსის მიზნიდან, შინაარსიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე;
11. განახლდეს ლიტერატურა ზოგიერთ სილაბუსებში (მაგალითად, სასწავლო კურსებში: "წერის უნარები" - 2008, დემოგრაფია - 2001, საქმიანი ურთიერთობები და ეტიკეტი - 2008, მიკროეკონომიკა - 2008, საბანკო მარკეტინგი - 2007, საბანკო მენეჯმენტი - 2009, ფინანსური და საბანკო–საკრედიტო რისკები - 2007, არაკომერციული ორგანიზაციების ფინანსები - 2009, აღრიცხვა საფინანსო-საბანკო დაწესებულებებში - 2008, გლობალური ფინანსური ბაზრები - 2005, საბანკო-საფინანსო სექტორის PR- კომუნიკაციები - 2006, საფონდო ბირჟა და ფასიანი ქაღალდების ბაზარი - 2008, საწარმოების დაფინანსების ალტერნატიული ფორმები - 2007, უცხოური ვალუტის ბაზრები - 2007 და სხვა.).
12. ფინანსების მიმართულებაზე მეტად უნდა გაძლიერდეს Excel-ის სწავლება, რათა ამ კუთხით სტუდენტებს მეტი კომპეტენციები გამოუმუშავდეთ;
13. სასწავლო კურსში „მოლაპარაკების მეთოდები“ უნდა გადაიხედოს შინაარსი და და აქცენტი უნდა გაკეთდეს ბიზნეს მოლაპარაკებებზე;
14. საქართველოს პროდუქციის გასაღების ბაზრიდან გამომდინარე საჭიროა არა მხოლოდ ევროკავშირის საგადასახადო სისტემაზე, რაც პროგრამაში ცალკე სასწავლო კურსად არის შეთავაზებული, არამედ ასევე საჭიროა აქცენტირება თურქეთის, რუსეთის, არაბეთის ქვეყნების, ამერიკის შეერთებული შტატების საგადასახდო სისტემაზე და ა.შ.

პროგრამის მონიტორინგის პირობების შესაბამისად დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა საანგარიშო პერიოდში აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების პაკეტი, რომლის მონიტორინგის ფარგლებში შემოწმებისას დადგინდა, რომ გაცემული რეკომენდაციები უმეტესად შესრულებულია.

წარმოდგენილი ფინანსების საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240/245 ECTS კრედიტს, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ვადა შეადგენს 4 წელს. 240/245 კრედიტი პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

- სავალდებულო კომპონენტები - 180/185 კრედიტი;
- არჩევითი კომპონენტები - 44 კრედიტი;
- თავისუფალი კომპონენტები 16 კრედიტი.

ინგლისური ენის 10 კრედიტის მოცულობით სწავლება გათვალისწინებულია ისეთი სტუდენტებისთვის, რომლებსაც ინგლისურში ეროვნული გამოცდა აქვთ ჩაბარებული. მათთვის, ვისაც ინგლისურში ეროვნული გამოცდა ჩაბარებული არა აქვს, ინგლისურის სწავლება გათვალისწინებულია სამ სემესტრად, 15 კრედიტის მოცულობით. შესაბამისად, ასეთი სტუდენტებისთვის პროგრამა ჯამში არა 240, არამედ 245 კრედიტიანი იქნება.

პროგრამის სტრუქტურა იძლევა შესაძლებლობას სტუდენტმა შეიძინოს ფინანსების სფეროში დასაქმებული სპეციალისტისთვის აუცილებელი, ფინანსების დარგის, მისი ძირითადი მეთოდების, პრინციპების, თეორიების და კონცეფციების, ფინანსური კატეგორიების, ფინანსური პრობლემების გადაჭრისათვის საჭირო ანალიტიკური კონცეფციებისა და ძირითადი პრინციპების შესახებ ცოდნა. პროგრამაში გათვალისწინებულია 15 კრედიტიანი პრაქტიკის კომპონენტი და 10 კრედიტიანი საბაკალავრო ნაშრომი.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

პროგრამის შემოწმება ექსპერტების მიერ განხორციელდა ვიზიტის გარეშე. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტების მიერ განხორციელდა წინა აკრედიტაციის დროს გაცემული რეკომენდაციების შინაარსის გათვალისწინებით პირველი და მეორე სტანდარტის სრულად, ხოლო მეოთხე და მეხუთე სტანდარტის ნაწილობრივ შეფასება, რამაც მოგვცა საშუალება

მიგველო სისტემური სურათი პროგრამაში გამოთქმული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამის შეფასების პროცესში შეფასებული იქნა I, II სტანდარტები, 4.1 და 5.2 ქვესტანდარტები. ვინაიდან აღნიშნული სტანდარტები და ქვესტანდარტები შეფასდა დადებითად, შესაბამისად პროგრამის პირველი სტანდარტი შეფასდა სრულ შესაბამისობაში სტანდარტთან, მეორე სტანდარტი კი შეფასდა მეტწილ შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან. საერთო ანგარიშით შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

1. კურსის შინაარსიდან და სავალდებულო ლიტერატურიდან გამომდინარე სასწავლო კურსი „მიკროეკონომიკა“ რეკომენდებულია ჩამოყალიბდეს “მიკროეკონომიკის პრინციპები”-ს, ხოლო „მაკროეკონომიკა“ – „მაკროეკონომიკის პრინციპები“-ს სახელწოდებით;
2. რეკომენდებულია გაძლიერდეს Excel-ის სწავლება სასწავლო კურსში „ფინანსური ანალიზი და ბიუჯეტირება/პროგნოზირება“, რაც სტუდენტებს მეტად საჭირო კომპეტენციებს გამოუმუშავებს;
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსში საბანკო-საფინანსო სექტორის PR-კომუნიკაციები“ (2006 წელი) ლიტერატურის განახლება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია დაწესებულებამ ჩაატაროს შრომის ბაზრის სიღრმისეული კვლევა;
2. სასურველია პროგრამის სწავლის შედეგები ოპერატიულად (დათქმულ ვადებზე ადრე) გაიწეროს მოქმედი კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების – აღმწერის მიხედვით, რაც კიდევ უფრო პროდუქტიულს გახდის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესებს;
3. დაწესებულების მიერ შემუშავებული სასწავლო კურსი „პრეკალკულუსი“ სასურველია ჩაირთოს პროგრამაში იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც ჩაბარებული არა აქვთ მათემატიკა;
4. სასურველია სავალდებულო ლიტერატურაში რიდერებს მიეთითოთ გამოცემის თარიღი (სასწავლო კურსები „საბანკო მარკეტინგი“, „გლობალური ფინანსური ბაზრები“);
5. სასურველია ფინანსების სწავლებაში გაძლიერდეს პროექტების ფინანსური შეფასების კომპონენტი;

6. სასურველია წარმოდგენილ პროგრამაში გასწორდეს სასწავლო კურსის „თეორლუსი“ დასახელება, როგორც ,,კალკულუსი“;

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

▪ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მოცემული ეტაპისთვის ფინანსების საბაკალავრო პროგრამში არის გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 25 ივლისის N86 გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციები, კერძოდ:

- დაკორექტირდა პროგრამის სტრუქტურა. კერძოდ დაკორექტირდა საბაკალავრო ნაშრომის და პრაქტიკის კომპონენტის სწავლების მოცულობა, გაიზარდა არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკი, დაემატა ახალი სავალდებულო სასწავლო კურსები, გაძლიერდა უცხო ენების სწავლების მოდული;
- მიღების წინაპირობებში პრიორიტეტი მიენიჭა მათემატიკას, გასწორდა სასწავლო კურსების წინაპირობები;
- გადაიხედა კრედიტების განაწილების სისტემა;
- უნივერსიტეტმა გაზარდა აფილირებული აკადემიური პერსონალის რიცხვი;
- განახლდა და დაკონკრეტდა ზოგიერთ სასწავლო კურსში მითითებული სავალდებულო სასწავლო ლიტერატურა და ა.შ.

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი<br><br>კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი არის საზოგადოებრივ-ეკონომიკური პროგრესის საგანმანათლებლო-სამეცნიერო ინსტიტუცია, რომელიც ქმნის თანამედროვე სასწავლო-სამეცნიერო გარემოს ინოვაციური მეთოდების დანერგვით, ინტერკულტურული განათლებითა და მრავალფეროვანი საუნივერსიტეტო ცხოვრებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, დემოკრატიული ღირებულებების მქონე თაობის აღზრდას.<br>საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამის მიზანია: ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების, პიროვნული პასუხისმგებლობის, პროფესიული განვითარებისა და სწავლის გაგრძელების, პროფესიული ეთიკური ნორმების დაცვისა და ღირებულებების დასამკვიდრებლად სწრაფვის მოტივაციის ჩამოყალიბება, რათა ბიზნესის ადმინისტ-რირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირმა შეძლოს ბიზნესის ფინანსურ სფეროში მიმდინარე, ფინანსებისა და საბანკო საქმის დარგთან დაკავშირებული პროცესე-ბის გაცნობიერება, გაანალიზება, შეფასება, პრიორიტეტების ადეკვატურად განსაზღვრა და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სწორი გადაწყვეტილებების მიღება, საერთო ჯამში კი კარიერული წინსვლა, წარმატებული საქმიანობის შედეგად.<br>პროგრამის აღნიშნული მიზანი შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან.<br><br>აკრედიტაციის ექსპერტების და აკრედიტაციის საბჭოს მიერ პროგრამის მოცემულ კომპონენტში გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაციები:<br>**რეკომენდაცია N1**<br>დაწესებულებამ პროგრამის შემუშავებამდე ჩაატაროს შრომის ბაზრის სრულფასოვანი კვლევა. მართალია დაწესებულებამ დაადასტურა, რომ „პროგრამის შემუშავებამდე უნივერსიტეტმა ჩაატარა დასაქმების ბაზრის კვლევა, რომელმაც დაადასტურა რამდენად დიდია დღეს მოთხოვნა ფინანსების დარგის სპეციალისტებზე როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ“, მაგრამ სასურველია აღნშნული კვლევის მასშტაბების გაზრდა.<br>• დაწესებულების განმარტებით ყველა პროგრამის შემუშავებამდე ხდება დასაქმების ბაზრის კვლევის ჩატარება. შესაბამისად, ასეთი კვლევა ჩატარებულია ბიზნესის ფაკულტეტზე მოქმედი ყველა პროგრამისთვისაც. 2019 წელს კიდევ ჩატარდა დასაქმების ბაზრის ახალი კვლევა (მათი განმარტებით ვიდრე ბიზნესის ადმინისტრირების ახალ სადოქტორო პროგრამას წარადგენდა სააკრედიტაციოდ), |

თუმცა 2019 წლის კვლევა წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვერ მოიძებნა. ამასთან შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ პროგრამის სრულყოფის მიზნით გათვალისწინებულ იქნა კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები, დამსაქმებელთა რჩევები და რეკომენდაციები. უნივერსიტეტში ხშირად იმართება საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები დამსაქმებლებთან და ასევე დასაქმების ფორუმები, შემუშავებულია დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმა, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე სასურველია დაწესებულებამ ჩაატაროს შრომის ბაზრის სიღრმისეული კვლევა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- კავკასიის უნივერსიტეტის უნივერსიტეტის მისია;
- ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- http://www.ciu.edu.ge/menu/mission - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია დაწესებულებამ ჩაატაროს შრომის ბაზრის სიღრმისეული კვლევა.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს შესაბამისი კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმში შემავალი სასწავლო კურსები თანამიმდევრული და ლოგიკური ურთიერთშესაბამისობით ახორციელებს ბაკალავრის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის განვითარებასა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის დაწესებულება იყენებს სხვადსხვა მექანიზმებს.

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას და უნარებს რომლებსაც სტუდენტები შეიძენენ პროგრამის დასრულებისას, კერძოდ - პროგრამის ათვისება ხელს უწყობს კურსდამთავრებულს რეალურ პრაქტიკაში წარმატებით განახორციელოს ფინანსების დარგის, მისი ძირითადი მეთოდების, პრინციპების, თეორიების და კონცეფციების, ფინანსური კატეგორიების, ფინანსური პრობლემების გადაჭრისათვის საჭირო ანალიტიკური ინსტრუმენტები, ორგანიზაციული, ეკონომიკური, საწარმოო, საინფორმაციო, კონსალტინგური, ინოვაციური და სხვა სახის ადმინისტრაციულ-მარეგულირებელი საქმიანობა. საგანმანათლებლო პროგრამის საფაკულტეტო და სპეციალობის დისციპლინების რიგი კომპონენტების წარმატებით დაძლევის შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია ადეკვატური მეთოდების გამოყენებით, დამოუკიდებლად გააანალიზოს ახალი და განყენებული მონაცემები, დაამუშაოს მიღებული ინფორმაცია, მოახდინოს მისი სინთეზი და გააკეთოს არგუმენტირებული დასკვნები. პროგრამის კომპონენტები კურსდამთავრებულს უვითარებენ მშობლიურ და უცხო ენაზე ვერბალური და წერითი კომუნიკაციის უნარებს, შეასწავლიან წერის, მეტყველებისა და პრეზენტაციის კულტურას. ფინანსების საბაკალავრო პროგრამას თან ახლავს პროგრამის სწავლის შედეგების სასწავლო კურსებთან შესაბამისობისა და პროგრამის სწავლის მიზნების სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუქები, სადაც ნათლად არის გამოკვეთილი აღნიშნული კავშირები.

დაწესებულებას გაწერილი აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი, რომელიც მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს. გამომდინარე აქედან პროგრამას თან ახლავს ,,პროგრამის სწავლის შედეგების (პსშ) შეფასების ანგარიში“ და პროგრამის სამიზნე ნიშნულები. აღნიშნული შეფასებებით დგინდება სტუდენტის მიღწევების შესაბამისობა პროგრამით დასახულ შედეგებთან, ამ მიზნით გამოყენებულია შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია იმის დადგენა, რომ სტუდენტმა განავითარა ის უნარები, რომელიც აუცილებელია ბიზნესკონტექსტში პრობლემების გადასაჭრელად, შეუძლიათ თუ არა წანამძღვრებისა და პირობების ფორმულირება, კვლევის საკითხის დასმა, ანალიზი, დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება. შეუძლიათ თუ არა შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენება, საკუთარი საქმის ორგანიზება და თავისი შედეგებისა და რეკომენდაციების გადაცემა და არგუმენტირება/დაცვა.

პროგრამაში მოხდა მთელი რიგი ცვლილებები.

აკრედიტაციის ექსპერტების და აკრედიტაციის საბჭოს მიერ პროგრამის მოცემულ კომპონენტში გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

**რეკომენდაცია N2**

დაწესებულებამ გადახედოს პრაქტიკული კომპონენტის სწავლების მოცულობას. ამასთან, ვინაიდან საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობა დაკავშირებულია მნიშვნელოვან ძალისხმევასთან, უმჯობესია პრაქტიკა ასეთი მოცულობით და საბაკალავრო ნაშრომი არ იქნას ერთდროულად ერთსა და იმავე სემესტრში შეთავაზებული ან დარეგულირდეს კომპონენტების სწავლების მოცულობა

- დაწესებულებამ დაარეგულირა კომპონენტების სწავლების მოცულობა: პრაქტიკა 18 კრედიტის ნაცვლად გახდა 15 კრედიტიანი ხოლო საბაკალავრო ნაშრომი 12 კრედიტის ნაცვლად გახდა 10 კრედიტიანი.

რეკომენდაცია N3
სასწავლო გეგმაში გაითვალისწინებულ იქნას ალბათობის თეორიის და მათემატიკური სტატისტიკის სასწავლო კურსის სწავლება.

- რეკომენდაციის გათვალისწინებით მომზადდა ალბათობის თეორიის და მათემატიკური სტატისტიკის სასწავლო კურსის სილაბუსი და ჩართულია წარმოდგენილ პროგრამაში.

დაწესებულების განმარტებით პროგრამის ხელმძღვანელისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის, ბრძანება # 69/ნ - ით დამტკიცებული, კვალიფიკაციების ახალ ჩარჩოსთან ფინანსების საბაკალავრო პროგრამისა და მასში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგების 3 კომპეტენციად აღწერის პროცესი დაწყებულია, თუმცა, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაწერილი ვადების თანახმად, უნივერსიტეტს ამაზე სამუშაოდ დრო 2023 წლის 30 ნოემბრამდე აქვს. თუმცა, სასურველია პროგრამის სწავლის შედეგები ოპერატიულად (დათქმულ ვადებზე ადრე) გაიწეროს მოქმედი კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების – აღმწერის მიხედვით, რაც კიდევ უფრო პროდუქტიულს გახდის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესებს.

აღსანიშნავია, ასევე რომ პროგრამაში არჩევითი სასწავლო კურსების მრავალფეროვნებისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაძლიერების მიზნით, პოლონეთთან, ესპანეთთან და ირანის რესპუბლიკასთან ჩამოყალიბებული ახალი შესაძლებლობების ხელშეწყობის მიზნით, პოლონურთან ერთად დაემატა კიდევ ერთი უცხო ენის შემსწავლელი სასწავლო კურსი: „ესპანური ენა - 1“, „ესპანური ენა - 2“, და „ირანისტიკა“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფინანსების საბაკალავრო პროგრამა;
- ანგარიში პროგრამის რეკომენდაციების შესრულების შესახებ;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის სწავლის შედეგები ოპერატიულად (დათქმულ ვადებზე ადრე) გაიწეროს მოქმედი კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების – აღმწერის მიხედვით, რაც კიდევ უფრო პროდუქტიულს გახდის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესებს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

| |
|---|
| შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | √ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების ატესტატის მქონე საქართველოს მოქალაქეებს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.<br>ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 52). |

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ პირი ვალდებულია უნივერსიტეტს წარუდგინოს სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირმა - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა დასაშვებია სწავლების პირველი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილების/თანხმობის საფუძველზე.

აკრედიტაციის ექსპერტების და აკრედიტაციის საბჭოს მიერ პროგრამის მოცემულ კომპონენტში გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

**რეკომენდაცია N8**

საგანამანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში გაიზარდოს ინგლისური ენის სავალდებულო კომპონენტის სწავლება.

- პროგრამაში ინგლისური ენის სწავლების დონის ამაღლების მიზნით, იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც მისაღებ გამოცდებზე არ ჩაუბარებიათ ინგლისური ენა, ინგლისური ენის (ლექსიკა, გრამატიკა) სწავლება განისაზღვრა 3 სემესტრად, 15 კრედიტის მოცულობით, შესაბამისად ეს სტუდენტები პროგრამას ამთავრებენ არა 240, არამედ 245 კრედიტით. შესაბამისად, სასწავლო კურსებს ეწოდა: ინგლისური ენა - 1, 2, 3 დამწყებთათვის. ასევე გაძლიერებულია პროფესიულ დონეზე ინგლისური ენის სწავლება. სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების მოდულიდან, სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში გადმოტანილ იქნა სასწავლო კურსები „პროფესიული ინგლისური ფინანსისტებისათვის - 1“ და „პროფესიული ინგლისური ფინანსისტებისათვის- 2“.

**რეკომენდაცია N9**

შეიცვალოს მიღების წინაპირობები და პრიორიტეტი მიენიჭოს მათემატიკას. ხოლო არსებული სტუდენტებისათვის კი შემოღებულ იქნეს მათემატიკური უნარების განმავითარებელი შესავალი კურსები (მაგ. პრეკალკულუსი).

- დაწესებულებამ გაზარდა იმ მისაღებ აბიტურიენტთა რიცხვი, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ მათემატიკა. 2018 წელს უნივერსიტეტი კონტინგეტის ძირითადი ნაწილის მიღება ჰქონდა გეოგრაფიის და ისტორიის (40;20) არჩევითი საგნებით, ხოლო, მათემატიკისთვის კი მხოლოდ 5 ადგილი იყო გათვალისწინებული, თუმცა აღსანიშნავია, რომ 2020 წელს არჩევით საგნად დაფიქსირდა მხოლოდ მათემატიკა.

  იმ სტუდენტებს, რომლებსაც ჩაბარებული არა აქვთ მათემატიკა, ასევე საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტის განმარტებით შესთავაზებენ მომზადებულ „პრეკალკულუსის“ სასწავლო კურსს, თუმცა ახალ წარმოდგენილ პროგრამაში ასეთ სასწავლო კურსს ვერ ვხვდებით.

|  |
| --- |
| დაწესებულების მიერ შემუშავებული სასწავლო კურსი „პრეკალკულუსი“ სასურველია ჩაირთოს პროგრამაში იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც ჩაბარებული არა აქვთ მათემატიკა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o ფინანსების საბაკალავრო პროგრამა;<br>o ანგარიში პროგრამის რეკომენდაციების შესრულების შესახებ;<br>o www.naec.ge |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>o დაწესებულების მიერ შემუშავებული სასწავლო კურსი „პრეკალკულუსი“ სასურველია ჩაირთოს პროგრამაში იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც ჩაბარებული არა აქვთ მათემატიკა. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
| --- |
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.<br>საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი ანუ 8 სემესტრია და მოიცავს 240 კრედიტს.<br>სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ), ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი (1500 სთ), თუმცა, პროგრამის სპეციფიკიდან და სტუ-დენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების |

რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას და მოიცავს: პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სწავლებას (ლექციებს, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობებს, რეფერატებისა და პრეზენტაციების მომზადებასა და წარდგენას/დაცვას, შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;

პრაქტიკას სპეციალობაში;

საბაკალავრო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას.

**ფინანსების საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა ასეთია:**

**სავალდებულო კომპონენტები:**

180 კრედიტი, მათ შორის:

● საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – 22/27 კრედიტი;

● საფაკულტეტო (ბიზნესის ადმინისტრირების) სავალდებულო სასწავლო კურსები – 64 კრედიტი;

● სპეციალობის (ფინანსების) სავალდებულო სასწავლო კურსები – 94 კრედიტი.

**არჩევითი კომპონენტები:**

60 კრედიტი, მათ შორის:

● საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები – 10 კრედიტი;

● საფაკულტეტო (ბიზნესის ადმინისტრირების) არჩევითი სასწავლო კურსები – 8 კრედიტი;

● სპეციალობის (ფინანსების) არჩევითი სასწავლო კურსები– 26 კრედიტი;

**თავისუფალი კომპონენტები:** 16 კრედიტი.

ფინანსების საბაკალავრო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსებში განსაზღვრული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში. სილაბუსში მოცემული კომპონენტები იმყოფებიან ერთმანეთთან ლოგიკურ ბმაში, რაც მთლიანობაში შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.

აკრედიტაციის ექსპერტების და აკრედიტაციის საბჭოს მიერ პროგრამის მოცემულ კომპონენტში გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

**რეკომენდაცია N5**

პირველ სემესტრში მიკროეკონომიკის ნაცვლად შეთავაზებულ იქნას სასწავლო კურსი მიკროეკონომიკის პრინციპები, ხოლო მეორე სემესტრში მაკროეკონომიკის ნაცვლად კი მაკროეკონომიკის პრინციპები.

- მართალია უნივერსიტეტმა ვერ გაიზიარა ეს რეკომენდაცია, თუმცა კურსის შინაარსიდან და სავალდებულო ლიტერატურიდან გამომდინარე სასწავლო კურსი „მიკროეკონომიკის" სახელწოდება რეკომენდებულია ჩამოყალიბდეს როგორც „მიკროეკონომიკის პრინციპები", ხოლო „მაკროეკონომიკა" – „მაკროეკონომიკის პრინციპები".

**რეკომენდაცია N6**

სასწავლო კურსის „ფინანსების თეორია" სწავლის შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში სასწავლო კურსის შინაარსთან. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და

შინაარსობრივი ნაწილი.

- რეკომენდაციის შესაბამისად მოხდა სასწავლო კურსის „ფინანსების თეორია“ დაკორექტირება.

**რეკომენდაცია N10**
დაწესებულებამ თითეულ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა უნდა შეიმუშაოს სასწავლო კურსის მიზნიდან, შინაარსიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე:

- სასწავლო კურსი „მაკროეკონომიკა“ ისწავლება წინაპირობის გარეშე, მაშინ როცა, თუ სტუდენტს არა აქვს გავლილი მიკროეკონომიკის შესავალი კურსი და არ იცის ელემენტარული ეკონომიკური ტერმინები, ცნებები და კატეგორიები, ასევე მიკროეკონომიკური მოდელები და ა.შ., მას ძალიან გაუჭირდება მაკროეკონომიკის და მაკროეკონომიკური მოდელების გაგება;

  გასწორდა წინაპირობა და „მაკროეკონომიკის“ წინაპირობად განისაზღვრა „მიკროეკონომიკა“.

- „სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“ წინაპირობად მითითებულია კალკულუსი 1. აღნიშნული საგანი ისწავლება მესამე სემესტრში, მაშინ როდესაც სტუდენტებს უკვე ნასწავლი აქვთ კალკულუსი 2. შესაბამისად, სილაბუსების შინაარსიდან გამომდინარე უფრო ლოგიკურია აღნიშნული საგნის წინაპირობად განისაზღვროს კალკულუსი 2;

  გასწორდა წინაპირობა სასწავლო კურსში „სტატისტიკას ეკონომიკასა და ბიზნესში“.

- „შესავალი ბუღალტრულ აღრიცხვაში“ წინაპირობად მითითებულია კალკულუსი თუმცა სილაბუსის შინაარსიდან ასეთი აუცილებლობა არ იკვეთება. სტუდენტს აღნიშნული კურსის სწავლა თავისუფლად შეუძლია ყოველგვარი წინაპირობის გარეშე პირველივე სემესტრში

  გასწორდა წინაპირობა „შესავალი ბუღალტრულ აღრიცხვაში“.

- „მმართველობითი აღრიცხვის“ წინაპირობად მითითებულია კალკულუსი 2 და სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში. რეალურად კი მმართველობითი აღრიცხვა ბუღალტრული აღრიცხვის ნაწილია და მისი წინაპირობა არის ფინანსური აღრიცხვა, ვინაიდან ის ეყრდნობა ფინანსურ აღრიცხვას

  გასწორდა წინაპირობა სასწავლო კურსში „მმართველობით აღრიცხვა“.

- **ასევე გასწორდა წინაპირობები სასწავლო კურსებში:**

  „კორპორაციის ფინანსები“; „საბანკო საქმე“ ; „ფინანსური და საბანკო საფინანსო რისკები“ და ა.შ.

**რეკომენდაცია N12**
ფინანსების მიმართულებაზე მეტად უნდა გაძლიერდეს Excel-ის სწავლება, რათა ამ კუთხით სტუდენტებს მეტი კომპეტენციები გამოუმუშავდეთ.

- სტუდენტები პირველ სემესტრში სწავლობენ სავალდებულო სასწავლო კურსს

„კომპიუტერული უნარები“, სადაც ითვისებენ გლობალური ქსელის, ელექტრონულ ფოსტის, MsWord-ის, PowerPoint-ის, MsExcel-ის საკითხებს. შემდგომ შეთავაზებული აქვთ საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსი „ინფორმაციის დამუშავების კომპიუტერული ტექნოლოგიები“, სადაც შეისწავლიან MsExcel საკითხებს (I-II კვირა), ბაზების მართვის სისტემას (MsAccess) და პროექტების მართვის სისტემას (MsProject).

რეკომენდებულია გაძლიერდეს Excel-ის სწავლება სასწავლო კურსში „ფინანსური ანალიზი და ბიუჯეტირება/პროგნოზირება“, რაც სტუდენტებს მეტად საჭირო კომპეტენციებს გამოუმუშავებს.

წარმოდგენილ ახალ პროგრამაში გაპარულია ტექნიკური შეცდომა სასწავლო კურსის დასახელებაში, შესაბამისად სასურველია გასწორდეს სასწავლო კურსის „თეორლუსი“ დასახელება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია რომ პროგრამის კურიკულუმი შედგენილია ლოგიკურად, რათა საფეხურებრივი პრინციპით, მარტივიდან რთულისაკენ, რათა თანდათანობით მოხდეს იმ კომპეტენციების გამომუშავება და კვალიფიკაციის მიიღება, რომელსაც, ზოგადად, პროგრამა და კერძოდ, მისი მიზან-შედეგები ითვალისწინებს. შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად სტუდენტი ვალდებულია სრულად აითვისოს საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო და სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები, აგრეთვე საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო და სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფინანსების საბაკალავრო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- პროგრამის 2018 წლის 25 ივლისის (სხდომის ოქმი N29) აკრედიტაციის გადაწყვეტილება;
- ანგარიში პროგრამის რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

რეკომენდაციები:

- კურსის შინაარსიდან და სავალდებულო ლიტერატურიდან გამომდინარე სასწავლო კურსი „მიკროეკონომიკა“ რეკომენდებულია ჩამოყალიბდეს მიკროეკონომიკის პრინციპების, ხოლო „მაკროეკონომიკა“ – „მაკროეკონომიკის პრინციპების“ სახელწოდებით;
- რეკომენდებულია გაძლიერდეს Excel-ის სწავლება სასწავლო კურსში „ფინანსური ანალიზი და ბიუჯეტირება/პროგნოზირება“, რაც სტუდენტებს მეტად საჭირო კომპეტენციებს გამოუმუშავებს.

| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| --- |
| o სასურველია გასწორდეს სასწავლო კურსის „თეორლუსი“ დასახელება, როგორც ,,კალკულუსი“; |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |
